საქართველო

ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N 40 68

29/08/2018

ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2017 წლის გაწეული მუშაობის ანგარიშის ცნობად მიღების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და საკრებულოს დებულების (რეგლამენტის) 132-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

მუხლი 1. ცნობად იქნას მიღებული ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2017 წლის გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში.

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით სამტრედიის რაიონულ სასამართლოში (ქ. სამტრედია ძმები ნინუების ქ. N1) მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ვალერი ბახტაძე

საკრებულოს თავმჯდომარე

ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წელს გაწეული მუშაობის შესახებ

საკრებულოს თავმჯდომარის ვალერი ბახტაძის ანგარიში

მოგესალმებით,
ქალბატონებო და ბატონებო!

პირველ რიგში მადლობა მინდა, გადაუხადოთ იმ დიდი ნდობისთვის ჩვენს ამომრჩეველს რაც მათ გამოხატეს ჩვენი გუნდის მიმართ 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე. მე და ჩვენს გუნდს ბოლომდე გვაქვს გათავისებული უდიდესი პასუხისმგებლობა და ვალდებულება, რომელიც ხალხმა დაგვაკისრა. ჩემი საკრებულოს თავმჯდომარეობის პერიოდში, ყველაფერს ვაკეთებთ და გავაკეთებთ იმისათვის, რომ ხონი გახდეს ძლიერი მუნიციპალიტეტი, ძლიერი საქართველოსთვის. ვგრძნობ დიდ ვალდებულებას ჩვენი ამომრჩევლის წინაშე მზად ვარ ნებისმიერ დროს შევხვდე მათ ვისაუბრო მათთან ჩვენს ყოველდღიურ საქმიანობაზე და წარმოგიდგენთ 2017 წლის გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშს.

როგორც მოგეხსენებათ, ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულო თავის უფლებამოსილებას ახორციელებს „საქართველოს კონსტიტუციის“, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს, ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების (რეგლამენტის), „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ევროპული ქარტიის და სხვა საკანონმდებლო აქტების საფუძველზე, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ შესაბამისად. საკრებულოს შედგება პირდაპირი, საყოველთაო, თანასწორი და ფარული კენჭისყრით არჩეული 28 წევრისგან, რომელთაგანაც 15 წევრი არჩეულია პროპორციული, ხოლო 13 წევრი მაჟორიტარული საარჩევნო სისიტემის საფუძველზე.

იმისათვის, რომ საკრებულოს საქმიანობა იყოს უფრო ნაყოფიერი და თითოეული წევრი იყოს მუდამ მობილიზებული, ყოველი თვის ბოლო ოთხშაბათს, საკრებულოს სხდომათა დარბაზში ვატარებთ საკრებულოს სხდომებს, , სადაც განვიხილავთ ყველა იმ საჭირბოროტო და მიმდინარე საკითხებს, რომელიც გვიდგას დღის წესრიგში. სხდომაზე განიხილება საკრებულოს წევრების მოსაზრებები და ინიციატივები, პრობლემები და მათი გადაჭრის გზები. საკრებულოს მაჟორიტარ დეპუტატებთან სამუშაო შეხვედრაზე ინდივიდუალურად და სახელობითად ვმსჯელობთ ყველა იმ პრობლემაზე, რომელსაც მოსახლეობა შეხვედრების დროს გვაწვდის. ამ პროცესში ჩართულები არიან მერიის შესაბამისი სამსახურის ხელმძღვანელი პირები და აქვე მინდა ვისარგებლო შემთხვევით და დიდი მადლობა გადავუხადო ხონის მუნიციპალიტეტის მერს ბატონ ლადო ჯურხაძეს და მთელ მის გუნდს ნაყოფიერი ურთიერთ თანამშრომლობისთვის. ახლა მინდა გაგაცნოთ ჩემი ინიციატივები, რომლებიც უკვე საკრებულოს მუშაობის ყოველდღიურობად იქცა. კვირის ნებისმიერ დღეს, მე ჩემს სამუშაო კაბინეტში, ხოლო მაჟორიტარი დეპუტატები მერის წარმომადგენლების ოფისებში, აწარმოებენ მოქალაქეებთან შეხვედრებს, სადაც ვეცნობით მათ პრობლემებს და შემდეგ ერთობლივად, შესაბამის სამსახურებთან ერთად ვსახავთ მათი გადაწყვეტის გზებს. ასევე მინდა მოგახსენოთ, რომ ჩვენი მოსახლეობასთან კომუნიკაცია, მხოლოდ ამით არ შემოიფარგლება.მაჟორიტარ დეპუტატებთან ერთად, მეც ვაწყობ გასვლით შეხვედრებს, რაც

ემსახურება ჩვენი თანაქალაქელებისათვის აქტუალური საკითხების ადგილზე გაცნობას, ქალაქში არსებული ინფრასტრუქტურული, სოციალური, ურბანული, დასაქმების და სხვა პრობლემების განსაზღვრას პრიორიტეტების მიხედვით და მათზე შემდგომ რეაგირებას, რასაც აქვს სისტემატური ხასიათი. ძალიან მნიშვნელოვანია სამოქალაქო სექტორთან თანამშრომლობა. ღია მმართველობა და გამჭვირვალობა არის ჩვენთვის პრინციპულად მნიშვნელოვანი, ამიტომ, გადავწყვიტეთ მოგვეფიქრებინა ურთიერთანამშრომლობის ისეთი ფორმა, რომელიც იქნებოდა გარანტი საზოგადოებრივ ინტერესებზე ორიენტირებული პოლიტიკისა. ჩვენთვის ერთ-ერთი პრიორიტეტია გენდერული თანასწორობის მიმართულებით, საქართველოს მიერ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულების ჯეროვანი შესრულება, რომელიც მიზნად ისახავს ადგილობრივ დონეზე ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის ხელშეწყობას. ამ მიზნით შექმნილი გვაქვს გენდერული თანასწორობის საბჭო, რომელმაც უკვე ჩაატარა 2 სხდომა და რამდენიმე საკონსულტაციო შეხვედრა არასამთავრობო ორგანიზაციებთან. საქართველოს სხვადასხვა მუნიციპალიტეტებთან კოორდინაციაში ვმუშობთ საბჭოს სამოქმედო გეგმაზე, რომლის განხორციელებაც უკვე მომავალ წელს აისახება ჩვენი ბიუჯეტის დაგეგმარებაზე. მმართველი გუნდის ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტი განათლებაა, ამდენად ჩვენ მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის სამსახურთან ვმუშაობთ და საკრებულოს უახლოეს სხდომმაზე განსახილველად წარმოდგენილი იქნება სამოქმედო გეგმა , რომელიც, სკოლამდელ აღზრდას, სასკოლო, ინსტიტუციურ და არაფორმალურ მიმართულებებს მოიცავს.

ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოში, საკითხების წინასწარი მომზადების, გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ხელშეწყობის, მერიის, მისი სტრუქტურული ერთეულებისა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძვნებული იურიდიული პირების კონტროლის მიზნით, საკრებულოს რეგლამენტის თანახმად შექმნილია 5 კომისია:

1. **ხონის მუნიციპალიტეტის იურიდიულ, სამანდატო, საპროცედუროსაკითხთა და ეთიკისკომისია - თავმჯდომარე ალიკო ვეკუა.**
2. **საფინანსო- საბიუჯეტო კომისია - თავმჯდომარე არსენ ბენდელიანი.**
3. **განათლების, კულტურის, სპორტისა და ტურიზმის საკითხთა კომისია - თავმჯდომარე ნანა ბახტაძე.**
4. **ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისია - თავმჯდომარე ზაზა რუხაძე.**
5. **სოციალურ საკითხთა კომისია - თავმჯდომარე ჯუნგლი გოდერიძე.**

საკრებულოს წევრები არიან ერთი ან არაუმეტეს საკრებულოს 2 კომისიის შემადგენლობაში, გარდა საკრებულოს თავმჯდომარისა და მისი მოადგილისა.

საკრებულოს კომისიების მიერ სისტემატიურად ხდებოდა მერიაში შესაბამისი სამსახურების მონიტორინგი და ანგარიშგება. შესაბამისად მათ მიერ ხდებოდა განსახილველი საკითხების ინიცირება საკრებულოში. კომისიები მერიის შესაბამის სამსახურებთან ერთად აქტიურად იყვნენ ჩართულნი სოფლის მხარდაჭერის, სოცილური და ინფრასტრუქტურული მიზნობრივი პროგრამების, აგრეთვე კულტურული და სპორტული ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელებასა და მუნიციპალიტეტის წინაშე მდგარი სხვა ამოცანების გადაწყვეტის საქმიანობაში. მიუხედავად იმისა, რომ საკრებულოს ყველა წევრი აქტიურადაა ჩართული

მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროცესებში, აქტიურად ხვდებიან მოსახლეობას, ისმენენ მათ პრობლემებსდა ცდილობენ შესაძლებლობის ფარგლებში აღმოუჩინონ შესაბამისი დახმარება, მიმაჩნია, რომ კიდევ უფრო სისტემური ხასიათი უნდა მიეცეს საკრებულოს წევრების მოსახლეობასთან ურთიერთობასა და შეხვედრებს. ასევე აუცილებელია მაჟორიტარი დეპუტატის მეტი აქტიურობა მოსახლეობასთან შეხვედრებისა და ადგილობრივი პროგრამების გადაწყვეტის ორგანიზების საქმიანობაში.

2017 წლის საანგარიშო პერიოდში საკრებულოში მოქმედებდა 6 ფრაქცია:

1. „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო“ - თავმჯდომარე ზაზა ვაშაკიძე.
2. „ქართული ოცნება კონსერვატორები“- თავმჯდომარე არჩილ საღარაძე.
3. „ქართულიოცნება მრეწველები“- თავმჯდომარე მაკა ტაბიძე.
4. „მოძრაობა თავისუფალი საქართველო“ - თავმჯდომარე სერგო ჯალაღანია.
5. „ევროპული საქართველო“ - თავმჯდომარე ირაკლი ბახტაძე.
6. “საქართველოს ევროპელი დემოკრატები” - თავმჯდომარე ზურაბ ჯიბუხაია.

საკრებულო თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-დან გამომდინარე ძირითადი პრინციპების შესაბამისად.

ა) კანონიერება.

ბ) საჯაროობა.

გ) კოლეგიურობა.

დ) დამოუკიდებელი პასუხისმგებლობა.

ე) წარმომადგენლობითი პროპორციულობის დაცვა.

ვ) მუნიციპალიტეტის მოსახლეობის აზრის გათვალისწინება.

ზ) ანგარიშვალდებულება მოსახლეობის წინაშე.

კანონის შესაბამისად საკრებულოში შექმნილია საკრებულოს ბიურო, რომელიც შედგება საკრებულოს თავმჯდომარის, მოადგილის, კომისიის და ფრაქციის თავმჯომარეებისგან.

საკრებულოს ორგანიზაციულ - ტექნიკურ მომსახურეობას უწევს საკრებულოს აპარატი. საკრებულოს აპარატის საანგარიშო პერიოდში უზრუნველყოფდა საკრებულოს, საკრებულოს კომისიების, საკრებულოს ფრაქციების და საკრებულოს თანამდებობის პირების ეფექტური საქმიანობისათვის შესაბამისი პირობების შექმნასა და დახმარებას უწევდა საკრებულოს წევრებს მათი უფლებამოსილების განხორციელებაში. მოსახლეობას სისტემატიურად აწვდიდა ინფორმაციას საკრებულოსა და საკრებულოს თანამდებობის პრების საქმიანობის შესახებ, ორგანიზაციულად უზრუნველყოფდა მოქალაქეთა ურთიერთობას საკრებულოსა და საკრებულოს თანამდებობის პირებთან.

მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა და დაიხვეწა დოკუმენტებზე მუშაობის, ნორმატიული აქტების მომზადება- გამოცემისა და საჯარო ინფორმაციის გაცემის პრაქტიკა.

2017 წლის განმავლობაში ჩატარდა საკრებულოს 33 და ბიუროს 36 სხდომა, საკრებულომ მიიღო 115 განკარგულება, 34 დადგენილება.

2017 წელს მომზადდა და გამოიცა საკრებულოს თავმჯდომარის 154 სამართლებრივი აქტი, ბრძანება. გაუმჯობესდება შემოსული კორესპონდენციაზე რეაგირებისა და გასულ კორესპონდენციაზე პასუხისმგებლობის მექანიზმი, რამაც საგრძნობლად გააუმჯობესა შემოსული კორესპონდენციაზე კანონმდებლობით დადგენილი ვადებში დროული რეაგირება და გასული კორესპონდენციის ხარისხობრივი მაჩვენებელი.

2017 წელს საკრებულოში, გასახილველად შემოსულია 259 წერილი და კორესპონდენცია, რომლებზეც შესაბამისი რეაგირების მიზნით მომზადდა და გაიგზავნა შესაბამისი პასუხები, განხილული შესწავლილი და რეაგირებულია მოქალაქეთა განცხადება. ყველა განცხადებაზე დროულად გაცემულია პასუხი და ჩამოწერილია. ყოველდღიურად ხდებოდა მოქალაქეთა მიღება, ანალიზი უკეთდებოდა მოქალაქეთა მიღების დროს დასმულ საკითხებს. მოქალაქეთა მიერ დასმული რიგითი საკითხები გათვალისწინებული იქნა პრიორიტეტების შერჩევასა და სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების განხილვის დროს. მნიშვნელოვანი ნაბიჯების გადადგმით, საკრებულოს საქმიანობით, საჯაროობის, მოქალაქეთა ინფორმირებულობის მიმართულებით. საკრებულოს საქმიანობა მაქსიმალურად შუქდება გაზეთ „ხონში“ და მუნიციპალიტეტის საკრებულოს „ფეისბუქ“ გვერდზე.

საკრებულომ საქართველოს „საბიუჯეტო კოდექსის“ შესაბამისად და ვადების სრული დაცვით განიხილა და დაამტკიცა „ხონის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტი“, რომელის გადასახადების მოცულობამ შეადგენდა 6 916,2 ათას ლარს, გათანაბრებითი ტრანსფერი 5 920,1 ათასლარს, მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილებას განსახორციელებლად 160,0 ათასი ლარი, სხვა შემოსავალი 266.0 ათასი ლარი, გადასახადები 510.0 არაფინანსური აქტივების კლება 60,0

ხონის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტი საჯაროდ გამოცხადდა (გამოიკრა) ადმინისტრაციული შენობის საინფორმაციო დაფაზე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებთან, მუნიციპალიტეტის მერთან, მერის მოადგილეებთან და ადგილობრივი თვითმმართველობის დაქვემდებარებაში მყოფი საქალაქო სამსახურების ხელმძღვანელებთან ერთად, აქტიურად ვმონაწილეობთ მნიშვნელოვანი პროექტების განხილვასა და უმთავრესი ფინანსური დოკუმენტის - ბიუჯეტის ფორმირებაში. პერიოდულად ვისმენთ მერიის სამსახურების ანგარიშს, ვაძლევთ რეკომენდაციებს და ერთობლივად ვსახავთ სამომავლო გეგმებს. 2018 წლის ბიუჯეტის მიხედვით პრიორიტეტებია: ინფრასტრუქტურული განვითარება, ჯანდაცვა, სოციალური უზრუნველყოფა, განათლება, ქალაქის გამწვანება-განაშენიანება და ეკოლოგია. ჩვენი მთავარი ამოცანაა ,ჩვენი მოქალაქეების კეთილდღეობა და მათ საჭიროებებზე ზრუნვა. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ჩემი და საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატების მოსახლეობასთან სისტემატიური შეხვედრები, ყველა იმ პრობლემის იდენტიფიცირებას უწყობს ხელს,რომლებიც პრიორიტეტების მიხედვით გათვალისწინებული იქნება 2019 წლის ბიუჯეტის ფორმირებისას. სამხარეო-საკონსულტაციო საბჭო: როგორც თქვენთვის ცნობილია, იმერეთის სამხარეო ადმინისტრაციაში 2014 წლის 4 დეკემბრიდან შექმნილია სამხარეო-საკონსულტაციო საბჭო, რომლის მიზანია, უზრუნველყოს მუნიციპალიტეტის ინტერესების წარმოდგენა და გათვალისწინება სახელმწიფო რწმუნებულის

- გუბერნატორის უფლებამოსილების განხორციელების პროცესში. საკრებულოს მიერ მოწონებულ იქნა და სამხარეო-საკონსულტაციო საბჭომ დაამტკიცა ის ინფრასტრუქტურული პროექტები, რომელიც 2018 წლის ბოლომდე განხორციელდება ხონის მუნიციპალიტეტში. სულ საერთო ჯამში ინფრასტრუქტურული პროექტების საერთო ღირებულება შეადგენს 3777, 375 ლარს.

საკრებულოს მიერ მიღებული ნორამტიული აქტების შედგენა, მიღება, გაგზავნა კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ექსპერტიზისთვის წარდგენა, რეგისტრაცია და სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყვება ხდება მართვის ავტომატური საშუალებების გამოყენებით.

საკრებულო თავის სხდომებზე ისმენდა მერიის და სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების ანგარიშებს და ინფორმაციებს გაწეული მუშაობისა და მიმდინარე საქმიანობის შესახებ. ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულო მერთან და სხვა სამსახურებთან ერთად აქტიურად იყო ჩართული რაიონის ინფრასტრუქტურის განვითარების, ტურისტული პოტენციალის გამოვლინებისა და ათვისებისას. სოფლის მხარდაჭერის, სოციალური და ინფრასტრუქტურული პროგრამების შემუშავება განხორციელების საქმიანობაში იყო გარკვეული საკითხები, რომლებიც საკრებულოს მიერ უკან იქნა დაბრუნებული მერისთვის კანონით გათვალისწინებული პროცედურებისა და დოკუმენტაციის არ არსებობის გამო. კონკრეტული შენიშვნებით დაუბრუნა მერიას 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტი, რომელის შენიშვნებიც მერიის მიერ სრულად იქნა გათვალისწინებული.

2017 წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტის საკრებულოს გაწეული შრომის შედეგად სოციალურ განვითარებისა და ეკონომიკურ წინსვლაშიმიღწეულ იქნა მნიშვნელოვანი წარმატებები. ზემოთხსენებული საკრებულოს კომისიების, ფრაქციების, მერიის და მისი ყველა სამსახურის, თითოეული ჩვენგანის, ყველა ხონელის მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობისა და ურთიერთპატივისცემაზე დამყარებული ერთიანი შრომის შედეგია. ბოლოს კიდევ ერთხელ მინდა მადლობა გადავუხადო სხდომაზე დამსწრე ყველა ადამიანს, თითოეული საკრებულოს წევრის, ეფექტურ შედეგზე ორიენტირებული მუშაობისთვის, მინდა გისურვოთ უკეთესი მომავალი და წარმატებული საქმიანობა ჩვენი ქვეყნისა და ერის სასიკეთოდ.